GRASS
REFORMANDA

18.09.2013

№2558

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

წ ე რ ი ლ ი

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ)

ბატონო/ქალბატონო

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, ამავე, კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- საქართველოს მხარადსაჭერად 2008 წლის დონორთა საერთაშორისო კონფერენციის შედეგად შემუშავებული საჭიროებათა ერთობლივი შეფასების შესრულების მესამე ანგარიში, რომელიც მოიცავს პერიოდს 2010 წლის აპრილიდან -2011 წლის სექტემბრამდე;
- იყო თუ არა დონორთა საერთაშორისო კონფერენციის შედეგად საქართველოთვის გამოყოფილი თანხა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის? აღნიშნულის შემთხვევაში, რამდენი იყო, როდის და როგორ მოხდა მისი განკარგვა;
- საჭიროებათა ერთობლივი შეფასების დოკუმენტში არსებული სოციალური სექტორის დასაქმების ქვეპუნქტისთვის გეგმით გამოყოფილი თანხის-22 მილიონი დოლარის ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებლები სამივე პერიოდის (2008 წლიდან-2009 წლის მარტი; 2009 წლის აპრილი-2010 წლის მარტი; 2010 წლის აპრილი-2011 წლის სექტემბერი) მიხედვით;
- რა აქტივობების დაფინანსებას ისახავდა მიზნად შესრულების პირველ და მეორე ანგარიშში "ცხრილი 2"-Table 2, სექტორი "სხვა"-Sector: Other გეგმით გათვალისწინებული 77,5 მილიონი აშშ და 233.9 მილიონი აშშ დოლარი. ასევე კონკრეტულად რა აქტივობებს მოხმარდა იგივე სექტორში ფაქტობრივად დახარჯული 2.5 და 68.1 მილიონი აშშ დოლარი.

პატივისცემით,

სერგი კაპანაძე,
საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) დირექტორი

მისამართი:
თბილისი, რაზმაძის ქ. #15

საკონტაქტო პირი:
ნუცა თოხაძე
მობ: 599 14 60 08; e-mail: tnutsa@factcheck.ge; ntokhadze@iset.ge